პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი ოთხშაბათი 16 მაისი № 113 (17458) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

პროდუქციის ხარისხი — საკვანძო ამოცანა

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმა მიზნად ისახავს რესპუბლიკის საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის დაჩქარებულ ზრდას იმ თვალსაზრისით, რომ მისი დონე დაუახლოვდეს საშუალო საკავშირო დონეს; მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში ჩვენი წვლილის გადიდებას, წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას, ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და რეგიონის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას.

ამოცანა ნათელია, მაგრამ იოლი დასაძლევი არ არის. იგი მოითხოვს მასების შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზებას რესპუბლიკის ეკონომიკაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მისაღწევად: ამიტომ ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს ფართო ფრონტით — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე, ეკონომიკის სხვა დარგებში, წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ამოქმედებას, რათა მინიმალური დანახარჯებით გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება და ამაღლდეს მისი ტექნიკური დონე.

სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე ხუთწლედში წარმოების საბოლოო შედეგების ეფექტიანობასა და ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXV ყრილობამ ერთ-ერთ საკვანძო ამოცანად დაგვისახა: „გადაჭრით გავუმჯობესოთ ყველა სახეობის პროდუქციის ხარისხი, გავაფართოოთ ნაწარმის ასორტიმენტი, გავადიდოთ იმ ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვება, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. ავამაღლოთ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა გამოშვების საერთო მოცულობაში. უფრო ფართოდ დავნერგოთ პროდუქციის ხარისხისა და მართვის კომპლექსური სისტემები“.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საერთო მეცადინეობით შარშან ჩვენმა მრეწველობამ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვების საქმეში, ხხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამის შედეგი იყო, რომ შარშან საპატიო ხუთკუთხანიშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობამ ჩვენში 832 მილიონ მანეთს მიაღწია, მისი ხვედრითი წონა 11,7 პროცენტი გახდა, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე 1977 წელს. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წონის ასეთმა ზრდამ ჩვენს რესპუბლიკას საშუალება მისცა კავშირის მასშტაბით მეთერთმეტე ადგილიდან მეექვსე ადგილზე დაწინაურებულიყო. შარშან რესპუბლიკის მრეწველობამ ორჯერ შეამცირა მეორე კატეგორიის ნაწარმის გამოშვება, როშლის ხვედრითი წონა ახლა 0,8 პროცენტია.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოების ტემპი დაჩქარდა და ასეთი პროდუქციის ხვედრითმა წონამ მთლიანი პროდუქციის მოცულობაში (806,8 მილიონი მანეთი) 17,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო რაოდენობამ — 1721-ს მიაღწია. ეს მნიშვნელოვნად აღემატება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აქედან 147 დასახელების პროდუქციას წელს პირველად მიეკუთვნა საპატიო ხუთკუთხა ნიშანი. სტატისტიკა მეტყველებს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის ისტორიაში ეს ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო კავშირში — მეორე, ბელორუსიის სს რესპუბლიკის შემდეგ.

მიღწეულ წარმატებებში გადამწყვეტი როლი ითამაშეს საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების, პირველ რიგში, კვების, მუშუბუჭი მრეწველობისა და საშინ მასალათა სამინისტროების საწარმოებმა. მაგალითად, წელს კვების მრეწველობის მუშაკებმა აწარმოეს 110,2 მილიონი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია, რაც სამჯერ მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამავე კატეგორიის სამჯერ მეტი ნაწარმი გამოუშვეს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმაც. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელოვანი მიღწევების ფონზე საკმაოდ მკრთალად გამოიყურებიან რესპუბლიკის დაქვემდებარების საწარმოები. უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების ხვედრითი წონა მთლიან პროდუქციაში აქ ჯერ კიდევ დაბალია — 4,4 პროცენტი, რაც ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ამასთან რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებში კვლავ უშვებენ ატესტაციაგაუვლელ ნაწარმს, რაც დასაგმობი პრაქტიკაა.

წლეულს მარტში უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების ზრდა ერთგვაროვან შემცირდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა ვერ შეასრულეს ასეთი ნაწარმის გამოშვების სახელმწიფო დავალება. ასეთთა რიცხვში აღმოჩნდნენ საწარმოო გაერთიანებები „საქლვინმანქანა“ და „ელექტრობელსაწყო“, „საქსაყოფაცხოვრებო ქიმიის“, რუსთავის ქიმიური, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანების, ქუთაისის ლითოფონისა და სხვა ქარხნების კოლექტივები.

მიმდინარე წელს სოციალისტური ვალდებულებით რესპუბლიკაში წარმოებული მთლიანი პროდუქციის მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითმა წონამ 15 პროცენტს უნდა მიაღწიოს. ამ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა წელს დამზადდეს მილიარდ 200 მილიონი მანეთის, ანუ 400 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე შარშან. ამ ამოცანის გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული საკავშირო საწარმოთა გამართულ მუშაობაზე, რომელთა წილად მოდის 220 მილიონი მანეთის პროდუქციის დამზადება. სამწუხაროდ, პირველი კვარტალის შედეგების ანალიზი იმ არასასურველ ფაქტებზე მეტყველებს, რომ საწარმოო გაერთიანებების — „საქყოფქიმიის“, „ჩარხმშენებლის“, „ელმავალმშენებლის“, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, მეორადი ალუმინის, მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, ბათუმის მანქანათსაშენებელი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და ენგურის ქაღალდის კომბინატის კოლექტივები წელს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოებას გეგმავენ უფრო ნაკლები მოცულობით, ვიდრე ეს მიმდინარე წლისათვის იყო გათვალისწინებული.

ამგვარი მდგომარეობა, ბუნებრივია, საფრთხის წინაშე აყენებს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოების ტემპის 20 პროცენტამდე გაზრდის შესაძლებლობას, რაც მიმდინარე წლის ბოლომდე არის ნავარაუდევი.

ამოცანის მისაღწევად პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებმა და ამ ორგანიზაციებში მოქმედმა პროდუქციის ხარისხის კომისიებმა უნდა უზრუნველყონ თითოეულ შრომითს კოლექტივსა და მთლიანად დარგში პროდუქციის სრულყოფის კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმები, რომლებიც დაეხმარება მათ მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვაში, ახალი წარმოებების შექმნაში, გამოუშვან საიმედო და ხანგამძლე პროდუქცია.

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოებში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ფართოდ დანერგვას. თუ 1978 წლის მონაცემებით ამგვარი სისტემა რესპუბლიკის მასშტაბით 80 საწარმოში იყო დანერგილი, წელს სოციალისტური ვალდებულებით მისი განხორციელება 300-მდე საწარმომ იკისრა. მაგრამ ეს ზღვარი როდია.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მუდამ ყურადღების ცენტრში იქონიონ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის ძირეული საკითხები, ყოველმხრივ კრიტიკულად აფასებდნენ გაწეული მუშაობის შედეგებს, უფრო თამამად ავითარებდნენ კრიტიკას და თვითკრიტიკას, გადაჭრით ავლენდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, აამაღლებდნენ კადრების აქტიურობასა და პერსონალურ პასუხისმგებლობას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

19-20 მაისს საკვების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების სეზონისათვის მზადყოფნის დათვალიერებაა

მთელი გულისყურით!

უავუქმნათ მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა — ამ დევიზით შრომობენ სიღნაღის რაიონის წნორის მეხორცეობა - მესაქონლეობის სპეციალიზირებული საცდელი კომპლექსის მუშაკები.

მეურნეობაში, — თქვა კომპლექსის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. დოლმაზაშვილმა, — დროულად მოემზადნენ ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიისათვის. მინდვრად გავიდა 8 კომბაინი და ექვსი სათიბი აგრეგატი. ჩვენს წინაშე დიდი ამოცანაა — დავამზადოთ 27 ათასი ტონა მწვანე მასა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაისახა მიწების მელიორაციისათვის, მრავალწლოვანი ბალახის ნათესების გაფართოებისათვის.

სურათებზე: მოწინავე მექანიზატორი გურამ ალადაშვილი; აგრეგატები მზად არის საკვების ასაღებად.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ:

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება

რეგვლარ უკვე ვიუწყებოდით, 12 მაისს თბილისში გაიმართა რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრება, რომლის დღის წესრიგში შეტანილი იყო სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა და „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული მოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კ. შარტავამ.

კრებამ, რომელმაც მაღალ დონეზე, მონაწილეთა საქმიანობისა და განხილული საკითხებისადმი დიდი დაინტერესების ვითარებაში ჩაიარა, მკაფიოდ ცხადყო თაობათა რევოლუციური ერთიანობა, ახალგაზრდათა და სტუდენტთა შეკავშირება მშობიარი კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

კრებაზე გაიმართა საქმიანი და პრინციპული სჯა-ბაასი სტუდენტის — მომავალი სპეციალისტისა და მეცნიერის მოვალეობისა და ვალდებულებების, რესპუბლიკის მომავლის წინაშე მისი მისიის, პარტიის დიდ წინაწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მისი აქტიური იხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბების შესახებ.

მომხსენებელმა და სტუდენტთა აქტივის კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რადგან მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება შეუძლებელია, თუ მას არ ჩაუნერგავთ მტკიცე პოლიტიკური მრწამსი და ზნეობის საფუძვლები.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გადაიშალა ამის ფართო პერსპექტივები, რომ განხორციელდეს პარტიის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანები საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნების ჩაენერგვისათვის. სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის მკაფიო პოლიტიკური გეზი, სტრატეგია და ტაქტიკა, დასახა თანამედროვე ეტაპზე მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. ასრულებს რა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხებზე. ეს დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, მისი წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „უამბარი“, მართლაც რომ, მოქმედების სახელმძღვანელო გახდა. პარტიის მიერ განხორციელებულ მთელ რიგ ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა აქვს ახლახან გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ორმა დიტალური ანალიზის საფუძველზე დადგენილებაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ყრილობის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა და იდეოლოგიურმა დაწესებულებებმა ბევრი რამ გააკეთეს მასების შეგნების ამაღლებისათვის. დადგენილებაში დიდი ადგილი ეთმობა ახალგაზრდობასთან, მათ შორის სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს.

და ეს სავსებით ბუნებრივია: კომუნისტური პარტიისათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული, ვიდრე ახალგაზრდობის აღზრდა, მისთვის კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბება. ეს არის ლენინის მიერ ნაანდერძევი პარტიის გენერალური გეზი. კრების მონაწილეებმა გაიხსენეს პარტიის ფუძემდებლისა და ბელადის სიტყვები, რომ ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის; რომ ჩვენ ძველის ნგრევისა და ახლის შენების პარტია ვართ. ძველის ნგრევაში, ახლის შენებისათვის ბრძოლაში კი ყოველთვის წინ წავა ახალგაზრდობა; რომ ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ნოვატორებს კი ყოველთვის ხალისით გაჰყვება ახალგაზრდობა. ამაში შესანიშნავად ჩანს პარტიისა და ახალგაზრდობის ინტერესების ერთიანობა, შუდმივი კავშირი. და არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს და გაყოს ეს ინტერესები. ეს გამომდინარეობს თვით ჩვენი პარტიის შინაგანი ბუნებიდან, მისი ძირითადი მიღწევებიდან და საერთო მიზნებიდან.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები განუხრელად ასრულებენ ამ მთავარ პრინციპს, პარტიისა და ახალგაზრდობის ერთიანობის პრინციპს. ახალგაზრდობისათვის ყოველდღიური ზრუნვის წმიდათაწმიდა პრინციპებს, რადგან ეს პრაქტიკულად ნიშნავს პარტიის ზრუნვას მომავლისათვის, მისი ბედისათვის.

კრებაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად უმაღლეს სასწავლებლებიდან იღებს დაახლოებით 12 ათას ახალგაზრდა სპეციალისტს, და იმაზე, თუ რა გზა განვლეს ამ ახალგაზრდებმა, რა გააკეთა უმაღლესმა სასწავლებლებმა მათი პროფესიული ჩამოყალიბებისათვის, ბევრად არის დამოკიდებული ახალგაზრდა სპეციალისტის ბედი, მისი ზრდის პერსპექტივები, შემოქმედებით შესაძლებლობათა რეალიზაცია.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ უკანასკნელ ხანს. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება ახალ სასწავლო გეგმებს, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციამ. ამან, თავის მხრივ, გაზარდა სტუდენტთა შესაძლებლობანი, რამდენადაც სიახლენი სასწავლო პროცესებში მნიშვნელოვანწილად მიზნად ისახავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის როლის ამაღლებას.

სკკპ XXV ყრილობამ მოითხოვა, რომ სასწავლო პროცესი რაც შეიძლება მეტად აღმზრდელობითი პროცესიც იყოს, რათა სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯი იყოს გააზრებული და გაანალიზებული როგორც იდეური, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილია კოდნის შეძენისადმი, შრომითი და პროფესიული აღზრდისადმი შეგნებული მიდგომის საინტერესო ფორმები და მეთოდები. შესამჩნევად გაიზარდა სტუდენტთა აკადემიური წარმატების საერთო მაჩვენებელი. მაგალითად, თუ 1971-1972 წლებში იგი შეადგენდა 82,7 პროცენტს, აქამდე 91,2 პროცენტამდე გაიზარდა. მაგრამ ჩამორჩენილ სტუდენტთა 8-9 პროცენტიც კი 4-4,5 ათასი კაცია, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვალთახედვის გარეთ დარჩნენ. კრებაზე მოიყვანეს იმის მაგალითები, თუ რა ფორმალურად ეკიდებიან სტუდენტთა აკადემიური წარმატების საკითხებს რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები. კერძოდ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის, საფაკულტეტო და საკურსო ბიუროების საქმიანობა სტუდენტთა აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის ბრძოლაში. აქ აკადემიური წარმატების ყველა მაჩვენებელი კომკავშირის თვალთახედვის გარეთ რჩება. ასევე ზერელედ ეკიდება ამ საკითხებს ბევრი საინსტიტუტო, საფაკულტეტო და საკურსო კომკავშირული ორგანიზაცია საქართველოს პოლიტექნიკურ ინს-

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲠᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲝᲗᲮᲛᲐ ᲗᲕᲔᲛ

გაზაფხული აჯამებს ზამთრის მანძილზე ფერმის მშრომელთა მუშაობის შედეგებს. მალე ახალი საძოვრული სეზონი დაიწყება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა მეცხოველეებს დაუსახა პასუხსაგები ამოცანა — მნიშვნელოვნად აამაღლონ დარგის ეფექტიანობა. რესპუბლიკის ფერმების მრავალი კოლექტივი, რომლებიც ახორციელებენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, დღეს დამკვიდრულრად შრომობენ.

მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე ხორცის დამზადების ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს შარშანდელს და უზრუნველყოფს არა მარტო წლიური გეგმის, არამედ გაზრდილი ვალდებულებების შესრულებასაც 144,5 ათასი ტონის მოცულობით.

მარტო მიმდინარე წლის აპრილში ყველა კატეგორიის მეურნეობაში შარშანდელთან შედარებით 1120 ტონით მეტი ხორცია დამზადებული. მათ შორის სახოგადოებრივ სექტორში — 700 ტონით მეტი. სულ ოთხი თვის მანძილზე სახელმწიფოს მიეყიდეს 2925 ტონით მეტი ხორცი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გადიდება ძირითადად მოხდა ჩასაბარებელი პირუტყვისა და ფრინველის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა მიმდინარე წლის აპრილში გაიზარდა 5 კილოგრამით, ღორისა — 1 კილოგრამით წინა თვეებთან შედარებით.

მაგრამ ყველა რაიონში როდია კარგად ხორცის დამზადების საქმე. შარშანდელ დონეს ჩამორჩა 23 რაიონი. ამასთან ყველაზე მეტად ჩამორჩებიან ქასპის, გურჯაანისა და თერჯოლის რაიონები — 13 პროცენტით, ახმეტის — 14 პროცენტით, წალკის — 17 პროცენტით, ლანჩხუთის — 19 პროცენტით, ჩოხატაურის — 32 პროცენტით და აბაშის — 45 პროცენტით.

4 თვის მანძილზე დამზადებულია 74302 ტონა რძე, რაც 3 ათასი ტონით ანუ 4 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობაში რძისა და რძის პროდუქტების დამზადების ხვედრითი წილი. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მოსახლეობისაგან შესყიდულია 3274 ტონა რძე, ნაკლებად შარშანდელი 1205 ტონისა, ანუ ზრდამ შეადგინა 172 პროცენტი, მაშინ, როცა სახოგადოებრივ მეურნეობებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად რძის დამზადების ტემპი უზრუნველყოფს წლიური გეგმა-დავალების, აგრეთვე ნაკისრი გაზრდილი ვალდებულების შესრულებას.

გასულ წელთან შედარებით რძის შესყიდვის მიხედვით ოთხ თვეში ჩამორჩა 12 რაიონი. მათ შორის ყველაზე მეტად ჩამორჩნენ გურჯაანის რაიონი—15 პროცენტით და წითელწყაროს რაიონი — 7 პროცენტით. სხვა რაიონებში კი ჩამორჩენა 1-4 პროცენტს უდრის.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ყვერცხის დამზადების საკითხზე. მართალია მიმდინარე წლის ოთხ თვეში გასული წლის დონეს 4,6 მილიონი ცალით გადააჭარბეს, მაგრამ ეს ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი წლიური გეგმა-დავალების შესრულებისათვის. გარდა ამისა მიმდინარე წლის აპრილში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 370 ათასი ცალით ნაკლები ყვერცხია დამზადებული.

ცუდად არის ყვერცხის დამზადების საქმე საზოგადოებრივ სექტორში, სადაც ოთხ თვეში შარშანდელთან შედარებით, ჩამორჩენა უდრის 1,9 მილიონ ცალს, და სახელმწიფოს მიერ ყვერცხის შესყიდვის წლიური გეგმის შესრულებას ახლავე ჩაშლის საფრთხე ემუქრება.

სხვა მიზეზებთან ერთად ეს ჩამორჩენა გამოიწვია ფრინველისათვის კომბინირებულ საკვებში პროტეინის შემცველობის შემცირებამ, ამის მიზეზი კი ის არის, რომ რესპუბლიკას საკმარისი რაოდენობით არ მიაწოდეს პროტეინიანი საკვები.

რა გვიჩვენა ოთხმა თვემ

შარშანდელთან შედარებით ოთხი თვის შედეგების მიხედვით ყვერცხის დამზადებაში ჩამორჩნენ 12 რაიონი და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. აქედან 1,2 მილიონზე მეტი ყვერცხი დააკლო სახელმწიფოს წითელწყაროს რაიონმა, დაახლოებით 700 ათასი — ქასპის რაიონმა, დაახლოებით მილიონი — გარდაბნის რაიონმა, 400 ათასი — თეთრი წყაროს რაიონმა, მილიონი — საჩხერის რაიონმა, 3,5 მილიონზე მეტი — აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ.

ამასთან ერთად რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 3117-ით გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა. ძროხების რაოდენობა გაიზარდა 3200 სულით, ღორისა — 37,8 ათასი სულით, ცხვრისა — 25,6 ათასით, ყველა სახეობის ფრინველისა — 105 ათასით, მათ შორის მოქცეულისა — 217 ათასით.

მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა შეამცირა საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა.

მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა შეამცირეს 23 რაიონმა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ. მათ შორის ყველაზე მეტად სულადობა შეამცირეს ზუგდიდის, წულუკიძის, გარდაბნის, თერჯოლის რაიონებმა.

ძროხების სულადობა შეამცირა 24 რაიონმა — საგარეჯოს, მცხეთის, ჯავის, ზნაურის, ონის, ჭორის და სხვა რაიონებმა.

ღორის სულადობა შეამცირა 12 რაიონმა. ამასთან შარშანდელთან შედარებით ღორის სულადობა მკვეთრად შემცირდა ვანის, ჯავის, აბაშის, ქობულეთის, გორის რაიონებში.

ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა 14 რაიონში და აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ.

ფრინველის სულადობა შემცირდა 29 რაიონში. — [illegible] ძლიერ შეამცირეს ვანის, გეგეჭკორის, [illegible] ასს [illegible] ონის [illegible] ფრინველის რიცხვი შემცირდა 15 რაიონში, ხოლო ყველაზე მეტად შეამცირეს ქასპის, წითელწყაროს, ოჩამჩირის რაიონებმა.

4 თვეში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

საკლავი პირუტყვისა და ფრინველის რეალიზაცია მთლიანად რესპუბლიკაში შარშანდელი მაჩვენებლის დონეზეა. მაგრამ 44 რაიონში ეს მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით შემცირდა.

რძის მთლიანი წარმოება 1 მაისის მდგომარეობით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მხოლოდ 150 ტონით გაიზარდა, ამავე დროს ეს მაჩვენებელი შეამცირა რესპუბლიკის 30 რაიონმა.

რძის მთლიანი წარმოება ყველაზე მეტად შეამცირეს ყვარლის, ვანის, გურჯაანის, წულუკიძის, ქარელის, დმანისისა და მცხეთის რაიონებმა.

მთლიანად რესპუბლიკაში ერთ ძროხაზე საშუალო ნაწველი 1 მაისისათვის კვლავ ჩამორჩება გასული წლის დონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება ყოველთვიურად მცირდება. თუ გასულ თვეში იგი 5 კილოგრამი იყო, ახლა 2 კილოგრამამდე შემცირდა.

საშუალო ნაწველი ძროხაზე ოთხ თვეში შარშანდელ დონეზე დაბალია რესპუბლიკის 33 რაიონში.

4 თვის მანძილზე მთლიანად რესპუბლიკაში კვერცხის წარმოება შემცირდა 2,7 მილიონი ცალით, ანუ 2 პროცენტით გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ოთხ თვეში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატმა შეადგინა 90,4 ათასი სული, რაც 2,6 ათასით, ანუ 3 პროცენტით ნაკლებია შარშანდელთან შედარებით.

პირუტყვის ნამატის , მიღება შეამცირა 34 რაიონმა — ჯორის, ამბროლაურის, ონის, ზუგდიდის, ლენტეხის, ხობის, მცხეთის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებმა.

ოთხი თვის მანძილზე მიღებულია 127 ათასი სული გოჭი — თითქმის 4 ათასით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში, მაგრამ 24 რაიონში ღორის ნამატი მიღებულია შარშანდელზე ნაკლები.

მომდინარე წელს მიღებულია გაკვლეებით მეტი ბატკანი და თოკანი, ვიდრე შარშან. 1 მაისისათვის მათი რიცხვი 610 ათას სულს აღემატებოდა, რაც 22 ათასით მეტია ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის იყო. მაგრამ ამ მაჩვენებლის მხრივაც ჩამორჩა 14 რაიონი და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონმა სახელმწიფოს დააკლო 2 ათასზე მეტი ბატკანი, გურჯაანის რაიონმა — ათასზე მეტი, ბორჯომის რაიონმა დაახლოებით 800 ბატკანი და სხვ. (საქინფორმი).

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲨᲔᲞᲘᲠᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ

1979 წლის 15 მაისს 9 საათსა და 19 წუთზე მოსკოვის დროით განხორციელდა „პროგრეს-6“ ავტომატური სატვირთო ხატანსპორტო ხომალდის შეპირაპირება „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსთან.

სატვირთო ხომალდმა ორბიტაზე მიიტანა საწვავი „სალუტ-6“ სადგურის გაერთიანებული ძრავისათვის, მოწყობილობა, აპარატურა, მასალები ეკიპაჟის ცხოველმოქმედების უზრუნველყოფისა და მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტების შესრულებისათვის, აგრეთვე ფოსტა.

ორბიტაზე მანევრების მოწყობის შემდეგ, რომლებიც შესრულდა მართვის ცენტრის კომანდით, „პროგრეს-6“ ხომალდი შევიდა ხომალდისა და „სალუტ-6“ სადგურის დაახლოების საბორტო ავტომატური სისტემების მოქმედების ზონაში, რომლებმაც უზრუნველყვეს კოსმოსური აპარატების ძიება, დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება.

მიახლოებისა და შეპირაპირების პროცესების კონტროლს უწევდა ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი — ამხანაგები ლიახოვი და რიუმინი.

„პროგრეს-6“ ავტომატური სატვირთო ხომალდი შეპირაპირებულია „სალუტ-6“ სადგურის საგრეგატო ნაკვეთურზე განლაგებულ შესაპირაპირებელ კვანძთან.

კოსმოსური აპარატების დაახლოებისა და შეპირაპირების ყველა ეტაპზე ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟთან კავშირს, „პროგრეს-6“ ხომალდიდან და „სალუტ-6“ სადგურიდან ტელემეტრიული ინფორმაციის მიღებას საამქედოდ უზრუნველყოფდნენ იმ მ

უმაღლესი სკოლის კომკავშირი: ამოცანები და პერსპექტივები

(დასასრული)

ტიტუტში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ზოოტექნიკურ-საცხოვრებო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტსა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ინფუშაონ კონკრეტულად, იკითხენენ სტუდენტთა მოთხოვნები და მოთხოვნილებანი — აი უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს აკადემიური წარმატებისა და შეძენილი ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის. საჭიროა ზუსტად ჩამოყალიბდეს რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების, უმაღლეს სასწავლებლთა კომკავშირული ორგანიზაციების, საქართველოს აკად. ცენტრალური კომიტეტის პოზიცია სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებზე. უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად მზად ვართ სტუდენტთა პრობლემების გადაწყვეტისათვის, დაკვინახოთ ჩვენი მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები, დავსახოთ პარტიის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად მისი გაკეთილშობილების გზები, რადგან უმაღლესი სკოლის, სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის პრობლემები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღების ცენტრშია.

სტუდენტთა აღზრდის, სტუდენტთა ყოველ კოლექტივში სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნის დიდმნიშვნელოვანი როლია კომკავშირული კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 2.400-ზე მეტია. ეს არის მძლავრი კომკავშირული ბირთვი, რომელშიც კომკავშირმა უნდა შექმნას ამხანაგური მომთხოვნელობის, ურთიერთდახმარების, შემოქმედების ვითარება. კრებაზე მოიყვანეს ის მაგალითები, თუ რა შეუძლია სტუდენტთა კავშ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის მრავალეროვანის სახელობის კავშ. 28 კაცია გაერთიანებული. აქედან 26 კომკავშირელია, ხოლო ორი — კომუნისტი. კავშ. თერთმეტი ფრიადოსანი და 17 დამკვრილია, 15 სტუდენტი სამეცნიერო წრის წევრია, ხუთმა მოხსენებანი წაიკითხა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. სტუდენტებმა შეიფობას უწევენ თანანეთის მ. ბელოვანის სახელობის საშუალო სკოლას, სადაც მათი ინიციატივით შეიქმნა ნორჩ მედიკოსთა კლუბი. ამგვარი კავშ. ფეხები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კოტა როდია.

კრებაზე სერიოზული საუბარი გაიმართა პიროველკურსელის, უმაღლეს სასწავლებელში მისი ადაპტაციის პრობლემის შესახებ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებელში გუშინდელი მოსწავლისათვის ყველაფერი ახალია — სწავლების სისტემა, მოთხოვნები, სტილი და მეთოდები, თავისუფალი დროის დამოუკიდებელი განაწილება, მეოლი რიგი სხვა ფაქტორები, რაც განსაზღვრავს კიდეც აღზრდისა და სწავლების საქმეში არსებულ სირთულეებს. პირველი კურსის ბევრ სტუდენტს განსაკუთრებით უჭირს იმ დაბრკოლების დაძლევა, რომელსაც ქმნის სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მეთოდების განსხვავება.

როგორ ითვალისწინებენ ყოველივე ამას უმაღლესი სკოლების კომკავშირის კომიტეტები და კომკავშირული ორგანიზაციები?

კრებაზე ითქვა, რომ პირველკურსელთა სკოლები, ფრიადოსანთა საბჭოები, სასწავლო-აღმზრდელობითი კომისიების შეფობა სტუდენტებისადმი, — ესა და პირველკურსელთან მუშაობის სხვა ამგვარი ფორმები და მეთოდები, როგორც რესპუბლიკის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება მოწმობს, ხელს უწყობს მათ ჩაერთონ სასწავლო პროცესის ცხოვრებაში, ისწავლონ დამოუკიდებელი მუშაობა, შრომის რაციონალური ორგანიზაცია. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოთხოვნაც — კონკრეტულად ვიმუშაოთ პირველკურსელებთან.

ვიმუშაოთ კონკრეტულად და არა ისე, როგორც მუშაობენ რესპუბლიკის ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტები, რომლებმაც საერთოდ დაიგიწყეს დისციპლინა, ორგანიზებულობა, წესრიგი, კონტროლი სწავლისა და შრომისადმი — პირველკურსელთა აკადემიური წარმატებისა და ცოდნის ხარისხის ეს უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელები. და როგორც შედეგი, 1977-78 სასწავლო წელს მარტო პირველკურსელებმა არასაპატიო მიზეზით გააცდინეს თითქმის 230 ათასი აკადემიური საათი. საერთო-რესპუბლიკური მაჩვენებლით პირველი კურსიდან ყოველწლიურად ირიცხება 200-250 კაცი, ამასთან ყოველი მეორე — აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნეს მომხსენებელმა და ორატორებმა, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, ძიების, შეჯიბრების ატმოსფეროს, სხვადასხვა კონკურსსა და ოლიმპიადას. ამ მხრივ საქართველოს სტუდენტობა მუდამ გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით. ახლა სტუდენტთა 70 პროცენტზე მეტი აწევს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, ასრულებს მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო სამუშაოებს. კერძოდ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს 1978 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის შეასრულა 580 ათასი მანეთის სამუშაოები; კარგად მუშაობს საკონსტრუქტორო ბიურო თბილისს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბადა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის აზრი. მაგრამ ყოველივე ეს ვერ ქმნის საერთო ამინდს. კერძოდ, წარმოებაში დანერგილი მხოლოდ ყოველი მეხუთისე წინადადება მოდის სტუდენტთა წილად. ეს კი ხუთჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. დიდი არ არის სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროებში მომუშავე უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი.

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ სტუდენტებს განუვითარონ ღრმა მარქსისტულ-ლენინური მრწამსი, კლასობრივი პოზიციებიდან საზოგადოებრივი მოვლენების შეფასების უნარი და ჩვევები. სტუდენტი უნდა იყოს პოლიტიკური მებრძოლი, რომლის პიროვნებაში ორგანულად იქნება შერწყმული პოლიტიკური განათლება, პოლიტიკური პასუხისმგებლობა და პოლიტიკური სიმტკიცე. უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს მათი საქმიანობა სტუდენტი ახალგაზრდობის პოლიტიკური შეგნების ამაღლების მიმართულებით. ყველა სტუდენტმა უნდა იბრძოლოს ობიექტიური და მეშჩანური გაწყვეტილებების, საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების, აპოლიტიკურობისა და პასიურობის წინააღმდეგ. სტუდენტთა მიერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შეთვისების ეფექტიანობა გადამწყვეტწილად საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობაზეა დამოკიდებული. უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიძინა ამგვარი მუშაობის საინტერესო გამოცდილება. ეს არის სტუდენტთა რეგულარული შეხვედრები მასწავლებლებთან, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და ფაკულტეტების, კურსებისა და ჯგუფების ერთობლივი სხდომები, ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის შინაარსის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება, კომკავშირულ კრებებში მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა და ბევრი სხვა.

მოხსენებასა და გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში სტუდენტთა ჩაბმას. რესპუბლიკის სტუდენტები ფართოდ მონაწილეობენ მესამე შრომითს სემესტრში. კრებაზე ითქვა, რომ მეათე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე 42 ათასზე მეტმა კაცმა 62 მილიონი მანეთის სამუშაოები შეასრულა. ეს კარგი მაჩვენებლებია, მაგრამ კრებაზე გააკრიტიკეს რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროები და უწყებანი, რომლებიც მთლიანად ვერ იყენებენ სტუდენტთა სამშენებლო რაზმების შესაძლებლობებს. მოიყვანეს სტუდენტთა შრომის მორალურ და მატერიალურ სტიმულირებაში ხარვეზების მაგალითები.

კომკავშრომა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან, დაინტერესებულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი იმ ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური გზების ძიებას, რომლებიც წამოიჭრა შრომითი სემესტრის ორგანიზაციასთან და ჩატარებასთან დაკავშირებით.

დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა დასვენების სწორი ორგანიზაციის პრობლემას. ეს არის ფიზკულტურა და სპორტი, მხატვრული თვითმოქმედება, სხვადასხვა წრე და გაერთიანება, რომლებიც ახალგაზრდას უყალიბებს ცხოვრებისადმი სწორ დამოკიდებულებას, უყალიბებს ხასიათს, უკაეებს ჯანმრთელობას.

საქართველოს სტუდენტური ოჯახი დიდი ინტერნაციონალური ოჯახია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ბელორუსები, ქურთები და ბერძნები — ჩვენი დიადი სამშობლოს 61 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. სტუდენტთა ინტერნაციონალიზმის ნამდვილი დღესასწაული იყო თბილისის, მოსკოვისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების ზუსტად ამ დღეებში დამთავრებული ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებიც მოეწყო „სტუდენტური დღეები-79“-ის ფარგლებში. მათ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაადასტურეს ჩვენი ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“ — ამ დევიზით მიმდინარეობდა საქართველოში სტუდენტური დღეები, ამ დევიზით ცხოვრობს, სწავლობს და შრომობს საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობა.

რესპუბლიკის სტუდენტთა აქტივის კრებებზე გამოსვლებში გაისმოდა მადლიერების სიტყვები შუბლიერი კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი, დღენიადაგ რომ ზრუნავენ და ყურადღებას არ აკლებენ სტუდენტი ახალგაზრდობის საქმეებს, ზრუნავენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული მოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდისათვის.

თაობათა მემკვიდრეობითობის მკაფიო გამოვლინება იყო, როცა აქტივის კრებაზე დღევანდელ სტუდენტებს გადაეცათ რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის პირველი სტუდენტებისა და ორგანიზატორების — თვალსაჩინო მეცნიერებისა და სპეციალისტების, საბჭოელვანთქმული პედაგოგების სიმბოლური ესტაფეტა. სტუდენტთა უფროსი თაობის სახელით ახალგაზრდა ცვლას სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, მისმა ყოფილმა რექტორმა, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერიგან ეთა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ. ამის პასუხად რესპუბლიკის მთელი სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით აქტივის კრებაზე გაისმა ფიცი, რომ წმიდათაწმიდად დაიცავენ და ამრავლებენ უფროს თაობათა შესანაწავ ტრადიციებს, ყოველთვის და ყველაფერში მათი სასახელო საქმეების ღირსეული გამგრძელებელი იქნებიან.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სკოლად იქცა ქართველი სტუდენტობის ზაფხულის შრომითი სემესტრები. აქტივის მონაწილეებს სიამაყით უპატაკეს ეს რესპუბლიკის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების მებრძოლებმა. კარგ კვალს, რომელსაც ეს სემესტრები ტოვებენ შრომითი ზაფხულის სხვადასხვა მერიდიანზე, ადასტურებს არა მარტო მილიონობით ათვისებული მანეთი, არა მარტო ახალი სახლები, სკოლები, ქუჩები, სამეურნეო ობიექტები, არამედ ღრმა პოლიტიკური, საშეფო, და ბოლოს, კულტურულ-მასობრივი მუშაობაც, რომლის მნიშვნელობა ძნელია ციფრებით გამოიხატოს. ამის საუკეთესო დადასტურებაა ის გულწრფელი მადლობა, რომელსაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებლების კომკავშირის კომიტეტებს უთვლიან ყაზახეთიდან და სმოლენსკის ოლქიდან, შორეული მურმანსკიდან და ვოლგა-პირა ქალაქებიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, სადაც მშენებელ სტუდენტთა ინტერნაციონალური რაზმების მარშრუტები გადის.

სტუდენტთა აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

„დავმზადებულია დაზოგილი მასალით“

— ასე ჩაწერა კოშკურა ამწეს პასპორტში ამწყობთა ბრიგადირმა მ. რატიამ რუსთავის ამწეთსაშენებელი ქარხნის კოლექტივის სახელით. ამწეთმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე დაზოგილი ლითონკონსტრუქციებით დაამზადონ კიდევ ერთი ამწე და ორი მბიჯი ჩარჩო.

მასალების, ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის, ფინანსური საშუალებების უმაღლესი დაზოგვისათვის შეჯიბრება, რომელიც ფართოდ გაიშალა საწარმოში, იწყობა ეკონომიკური განათლების სკოლის მეცადინეობიდან, რომელიც მიეძღვნა თემას „პროდუქციის წარმოებისას ლითონის შემცირების გზები“. მისი განხილვის დროს მსმენელებმა წამოაყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრაქტიკული წინადადებანი. კერძოდ, ეს წინადადებანი ეხება ცალკეული ელემენტების, დეტალების, დანადგარების წონის შემსუბუქებას, მათი კონფიგურაციის შეცვლას.

მსმენელთა წინადადებანი განსახილველად გამოიტანეს საერთო-საქარხნო ღია პარტიულ კრებაზე. კოლექტივმა ისინი მოიწონა და საწარმოს ადმინისტრაციამ შეიტანა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმაში.

ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობა

— ეს იმის ერთადერთი მაგალითი როდია, როცა ეკონომიკური სკოლებში მიღებულ ცოდნას 1979 წლისთან შეადარებენ. ბრიგადა ეკონომიკურ შემოქმედებაზე ამბობს: — ეს ... პრაქტიკულად ვიყენებთ, — თქვა ... საქინფორმის კორესპონდენტთან — ... ეფექტს ამცირებენ. — შესაბამის ... საუბარში პარტორგანიზაციის მდივანმა ე. კობერიძემ,—ერთ-ერთ მეცადინეობაზე აღვძარით საკითხი პროდუქციის ხარისხისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ჩვენი ამწეების, განსაკუთრებით საექსპორტო გასაგზავნი ამწეების ხარისხი ზომ ბევრად უკეთესი უნდა იყოს. ჩვენ დავიწყეთ „ხარისხის დღეების“ მოწყობა, დავნერგეთ პროდუქციის ოდიფიტრო დამზადებისა და პირველი წარდგენისთანავე მისი ჩაბარების მეთოდი, ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციის დროს კონტროლი, მუშათა მატერიალური და მორალური სტიმულირების ახალი ფორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პრემიის ძირითადი ნაწილის გაცემას პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ყველა ამ ღონისძიების შედეგად ამწეების ხარისხი გაუმჯობესდა. საამქროებისა და უბნების გამსხვილებამ, დეტალების ნომენკლატურის უნიფიკაციამ ხელი შეუწყო იმას, რომ კოშკურა ამწეების დამზადების ციკლი დაახლოებით პირველი ... ბრიგადის ... 1979 წლისთან შეადარებენ. — ... ნაყოფიერ ... — შეაწყვეს ... — შეაწყვეს შემდეგ მსმენელებმა ა. ... ერთეული წამოაყენეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელსაც ახლა იხილავენ კომუნისტები, რაზმავს ამწეთმშენებლებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის. უპირველეს ამოცანათა შორისაა სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომის სადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ყოველმხრივ განვითარება. გადაწყვეტილია ყველა უბანზე შეიქმნას მოწინავე გამოცდილების შესწავლის სკოლები. წინადადებანი შეჯიბრების მოწყობაში საწარმოები იჩენდნენ ფორმალიზმს, უბნებისა და ბრიგადების ვალდებულებისათვის მოძრაობის ყოველთვის როდი იყო დასაბუთებული. ახლა კი მხოლოდ რეალურ ნაადგს ემყარება.

კადრები ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია

ARA, მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ ამ წერილის სათაურის წაკითხვისას თვალი გადაგცდა ან მასში ირონიის ნატამალი ერიოს. სულაც არა. ასეთი ფაქტი სინამდვილეში მართლაც მოხდა. სინამდვილეში, იმიტომ ვამბობთ, რომ აბა, ასეთ აბსურდულ ბრალდებას ოფიციალურ დოკუმენტში ვინ ჩაწერდა.

წარმოიდგინეთ: მუშაობდა კაცი რაიონში ერთ-ერთი გაერთიანების დირექტორად, საქმე ურიგოდ არ მიჰყავდა, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა, არც რაიმე ანგარებაში ყოფილა შეჭრეული და სავარაუდებელი იყო, რომ მისი მუშაობით ზემდგომი ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არ იქნებოდნენ (წინაღმდეგ შემთხვევაში ამას „როდისმე ან საყვედურით ან მითითებით მაინც გამოხატავდნენ). მაგრამ აი ერთ მშვენიერ დღეს, სულ რომ არ მოელოდა ისე, თბილისში გამოიძახეს, გამგეობის სხდომაზე გაიყვანეს, ერთი რიგიანად შეაბურეს და თანამდებობიდანაც გაათავისუფლეს.

ხომ მართლა უჩვეულო ამბავია? არც ჩვენ გვჯეროდა, როცა რედაქციაში ყვარლის რაიკოოპერატივის საზოგადოებრივი კვების გაერთიანებაში მუშაობის ჩაშლის და თანამდებობრივი შეუფერებლობის ბრალდებებს უყეხენენ, სარეიდო ბრიგადის მიერ სულ რამდენიმე საათში გამოვლენილ დარღვევებს თვალწინ უშლიან და მის დირექტორობასაც წერტილი ესმება.

ვგრძნობ, რომ აქ მკითხველს დაებადება სავსებით ლოგიკური და კანონიერი კითხვა: განა რა ისეთი უხეში დარღვევები გამოვლენდა ერთდღიანი სარეიდო შემოწმებით, რომ დირექტორისათვის საბედისწერო გახდა? გეტყვით. დადგენილებაში აღნიშნული ოთხად-ოთხი ფაქტიდან არც ერთი არ არის დაკავშირებული სოციალისტური საკუთრების დატაცების, მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუების, გამოძალვის ან სხვა რაიმე ანგარებითს გადაცდენასთან.

ამავე დროს ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ რაიმე გამბარლება მოვუნახოთ ვაჭრობასა და საერთოდ მომსახურების სფეროში დაშვებულ თუნდაც სრულიად უმნიშვნელო დარღვევას, ნეგატიურ გამოვლენებასა და ნორმიდან გადახრას. არა, ეს სადღეისო პოზიცია არ არის, და თითოეული ასეთი დარღვევისათვის კონკრეტული დამნაშავე საკადრისადაც უნდა დაისაჯოს.

მაგრამ არის ასეთი კითხვაც: შესწევდა თუ არა უნარი ხელმძღვანელ მუშაკს, რომელმაც თავის დროზე ადგილობრივი პარტიული და, ალბათ, თვით კომკავშირის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით შესძლო რაიონში წინათ ... ვარდნილი დარგის ფეხზე დაყენება, ამჯერადაც გამოესწორებინა ბევრად უმნიშვნელო ნაკლოვანებანი? ვფიქრობთ, ამის ყველა საფუძველი არსებობდა.

თორემ, რა გამოვიდა? დირექტორი გავათავისუფლეთ, აბა, უკვე წელწადზე მეტია, რესპუბლიკის პროკურატურასა და რედაქციებში დადის შელახული სახელის აღსადგენად — გამბედაობით, რა დავაშავე, რისთვის დავისაჯე ასე მკაცრადო, და ვერც რედაქციას, ვერც რესპუბლიკის პროკურატურას, მით უმეტეს პარტიის ყვარლის რაიკომს ვერ მოუნახავს დამჯერებელი არუმენტები ა. ციბაძის გასამტყუნებლად. ამასობაში კი სახელმწიფო საქმე დაზარალდა — ბურთალეთ-ბაში მუშაობა შეფერხდა და შარშანდელი საგეგმო მაჩვენებლებიც საგრძნობლად გაუარესდა.

ГАНТАВИСУФЛЕБУЛИА МУШАОБИС... ГАУМЯОБЕСЕБИСАТВИС

„ანუ რატომ მოხსნეს ერთ-ერთი რაიონული გაერთიანების დირექტორი“

ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ კოლექტივის მიერ გამოშვებული პროდუქციის ორმოცდაათი პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის.

მიმდინარე წლის დამდეგიდან მასობრივი წარმოებისათვის გათვალისწინებულია მამაკაცის ცხრანაირი პერანგი.

გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვას.

სურათებზე: ზემოთ — ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის“ მოწინავე მკერავი თინა შალიკაშვილი. იგი შეჯიბრების ავანგარდშია და მნიშვნელოვნად უსწრებს დროს. მარცხნივ — მიმდინარეობს მზა პროდუქციის დახარისხება და შეფუთვა.

ბ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომლის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი სსრ კავშირის შეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებების შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ იმ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აპრილის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, საჭიროა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსა და მისი პრეზიდიუმის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს დაეკვალთ თავიანთ საარჩევნო ოლქებში გადასინჯონ ამომრჩეველთა მიღების, დღეები და საათები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ისინი ამომრჩეველს უნდა შეხვდნენ ყოველი სესიის შემდეგ, ხოლო თითოეული წლის თებერვალში ანგარიში ჩაბარონ მათ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობის, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის პრაქტიკის შესახებ, გაიცნონ მათ ამ დარგში რესპუბლიკის წინაშე დასახული მორიგი ამოცანები, აგრეთვე თავისი დეპუტატური საქმიანობა.

მიღებულ დადგენილებაში სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს წინადადება ეძლევათ სრულყონ ამომრჩევლებთან დეპუტატთა შეხვედრისა და მათ წინაშე ანგარიშგების პრაქტიკა. განახორციელონ ღონისძიებანი საანგარიშო კრებებსა და შეხვედრებზე ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვის, დროული განხილვისა და რეალიზაციისათვის.

სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაეკალათ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ დეპუტატთა მიერ წამოყენებული საკითხების გადაწყვეტას, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — დააწესოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ გამოთქმული წინადადებების რეალიზაციისადმი კონტროლი.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი **საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისადმი ამომრჩეველთა განაწესებების შესახებ.**

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ეს განაწესები მოიცავს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების მუშაობის გაუმჯობესების, რესურსების სწორი და რაციონალური გამოყენების საკითხებს.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ აფხაზეთის სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რესპუბლიკა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ მათ კომპეტენციაში შემავალი განაწესებები და დასახონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები. (საქინფორმი).

ᲗᲝᲮᲜᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

„ᲡᲐᲛ დღეში — სართული, ო�დაშეიდ დღეში— საცხოვრებელი სახლი“, „ნოვატორი ინჟინერი მ. ნოზაძე“, „მშენებლები — ბავშვებს“, „თაოსნობის ეფექტი“, „ოსტატების მხარდამხარ“, — ასეთია ბრიშურების, ბუკლეტების, საინფორმაციო ფურცლების — პროპაგანდისტული მასალების სახელწოდება, რომლებიც ეძღვნება რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სსსტრმის სამშენებლო სამმართველოებისა და ტრესტების მოწინავე ადამიანებს.

მათი გამოშვება დაიწყო „ორგტექმშენის“ ტრესტის ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებამ. „ორგტექმშენი“ ბევრ რამეს აკეთებს შრომის მოწინავე მეთოდების, სამეურნეო ანგარიშიანი ბრიგადების მუშაობის პროპაგანდისათვის, რომლებსაც მეთაურობენ სოციალისტური შრომის გმირი შ. მოდებაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ქართველიშვილი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. გალდავა და სხვები. მოწყობილია მათი მუშაობის მეთოდების შესწავლის სკოლები, მოწინავენი უკითხავენ ლექციებს ახალგაზრდა მშენებლებს.

(საქინფორმი).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲬᲘᲤᲬᲘᲗ

გადავაქციოთ თბილისი კომუნისტური შრომის ქალაქად

თბილისის საქალაქო საბჭოს მეცხრე სესია

...„ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ადგილი განიკუთვნებათ მუდმივ კომისიებს. მათ უნდა იმოქმედონ უფრო ენერგიულად, განსახილველად გამოიტანონ ყველაზე არსებითი, ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, მტკიცედ იბრძოლონ თავისი რეკომენდაციების განხორციელებისათვის, უკეთესად გაიწიონ კონტროლი მათს შესრულებაზე“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე წარმოთქმული ეს სიტყვები საფუძველად დაედო თბილისის მე-16 მოწვევის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მეცხრე სესიას, რომელიც 14 მაისს გაიმართა.

— „თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანების შესახებ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესაბამისად“ — მოხსენება ამ თემაზე გააკეთა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. გაბუნიამ.

მოხსენების თაობაზე სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სესიამ მოისმინა საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. გორდეზიანმა. სესიამ ანგარიშის თაობაზე მიიღო დადგენილება.

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი ზ. გილაური თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსისა და აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან, სესიამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წევრად აირჩია დეპუტატი ნ. მგალობლიშვილი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსად დაამტკიცეს ო. ეჯიბაძე, მწვანე მშენებლობისა და ბალ-პარკების მეურნეობის სამმართველოს უფროსად — გ. ბერიძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად აირჩიეს ი. ტაბუცაძე. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით დეპუტატი შ. ფროდიაშვილი განთავისუფლებულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი.)

პროგლემა: დაკლიკოთ სოფლად ხუთწლედის სამ წელიწადში გამოვლენილი ნაკლოვანებანი!

რეგერვები ცოტა როდია!

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება პარტიის

ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი მ. ქაჯაია.

პარტიის ახალციხის რაიკომი ხუთწლედის რეზერვების გამოსავლინებლად ყველაფერს ღონობს.

გაწეული პარტიულ-ორგანიზატორული, პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი მუშაობის შედეგად მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში რაიონის მშრომელებმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წინსვლისათვის ფართოდ გაშალეს სოციალისტიკური შეჯიბრება და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს; გაადიდეს რა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხორცის, მატყლის და სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-დავალებები.

მაგრამ, რა დასამალია, ვვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. დამზადების სამი წლის დავალების შესრულებას რაიონმა დააკლო 89 ტონა რძე. ამასთან წინა წლებთან შედარებით წარმოების ზრდის მეუხეადავად დღემდე არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმა-დავალებები მთელ რიგ ძირითად დარგებში.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჯერ კიდევ რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში მთელი შესაძლებლობით ვერ იყენებენ წარმოების ზრდის იმ რეზერვებს, რომლებიც მათ აქვთ. რეზერვები კი ცოტა როდია.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საინგარიშო-საარჩევნო კრებებზეც სწორედ ამ ამოუყენებელი რეზერვებზე გაამახვილეს ყურადღება კომუნისტებმა.

ჩვენს რაიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია მეცხოველეობა. ახალციხელმა მეცხოველეებმა შარშან წარმატებას მიაღწიეს. მნიშვნელოვნად გაადიდეს პირუტყვის პროდუქტიულობა, მეცხოველეობის პროდუქტების საერთო წარმოება და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის მიყიდვის გეგმა-დავალებები. ეს ჩვენ დამატებით მოგვცემს კიდევ 80-90 ტონა ხორცს და 800 ტონამდე რძეს.

პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად რაიონში უკვე შემოვიყვანეთ 200 სული წაბლა ყაზახური და 200 სული შეიცვალიული ჯიშის დეკეული. ამასთან რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში სანაშენე სისტემატურად არჩევენ და ზრდიან ადგილობრივი ჯიშის მაღალპროდუქტიულ დეკეულებს. მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი როდია. რაიონში დღემდე არა გვაქვს თუნდაც ერთი სანაშენე მეურნეობა, რომელიც საზოგადოებრივი და დამხმარე მეურნეობებისათვის გამოზრდიდა მაღალპროდუქტიულ დეკეულებს. **ვფიქრობთ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაგვეხმარება, რათა ასეთი სანაშენე მეურნეობები შეიქმნას ახალციხის საბჭოთა მეურნეობატექნიკუმსა და აწყურის საბჭოთა მეურნეობაში, რომელთაც ძირითადად ჯიშიანი ძროხები ჰყავთ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ღორის ხორცის წარმოების გასაადიდებლად. ორ საზოგადოებრივ მეურნეობაში უკვე აღდგა უსაფუძვლოდ გაუქმებული მეღორეობის ფერმები, ხუთში — ახალი აშენდა. ახლა რაიონს 12 საზოგადოებრივი მეურნეობიდან თერთმეტს აქვს მეღორეობის ფერმა. ამით, ცხადია, მნიშვნელოვნად გადიდდა ღორის ხორცის წარმოება. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში არ ექცევა სათანადო ყურადღება ამ დარგს. იმის გამო, რომ სხვილისს, მინაძის, სვირის და სხვა ადგილებში ღორის ხორცის წარმოებას გავადიდებთ 120 ტონით, ხოლო რძის წარმოებას — 290 ტონით.

მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის სახორცედ ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონას ავიყვანთ 300 კილოგრამამდე. ცხვრისას — 40 კილოგრამამდე, ხოლო თითოეული ფფრის წველადობას — 1.800 კილოგრამამდე. **შესაბამისად ხორცის წარმოება გაიზრდება 205 ტონით, რძისა კი 400-500 ტონით.**

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად გვაქვს სხვა რეზერვებიც. ესენი საზოგადოებრივი მეურნეობის ფერმებში სიბერწის ლიკვიდაცია, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობისა და ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესება. ამ მხრივაც გარკვეულ მუშაობას ვეწევით.

ამ საკითხების მოსაგვარებლად დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც უკვე შეუდგნენ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. **ფურებისა და ნერბების სიბერწის ლიკვიდაციით რაიონში შეგვეძლია ხორცის წარმოება დამატებით გავადიდოთ 70-80 ტონით, რძისა კი 500-600 ტონით.**

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების ჯოგში ჯერჯერობით მეტად მცირეა დედა პირუტყვის ხვედრითი წონა. საერთო ჯოგში ფფრის ოდენობა 27,7 პროცენტია, ნერბისა — 59 პროცენტი. დავსახეთ ღონისძიებები, რომელთა განხორციელებითაც მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის ფფრების ხვედრითი წონა მიაღწევს 35-36 პროცენტს, ნერბისა — 70 პროცენტს. **ეს ჩვენ დამატებით მოგვცემს კიდევ 80-90 ტონა ხორცს და 800 ტონამდე რძეს.**

ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაევალათ გაადიდონ სამარცვლე-საფურაჟე კულტურების ნათესი ფართობი; ამასთან ღორების საკვებად გამოიყენებთ ყველ-კარაქის, ლუდისა და საკონსერვო ქარხნების ნარჩენებს.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვებია აგრეთვე მეცხოველეთა შორის შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესება, კადრების მომზადება, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლა. ამ საქმეში მატერიალური და მორალური სტიმულირების ფართო გამოყენება და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრა.

ერთი სიტყვით, პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და გადაჭარბებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებები. თუმცა არის ისეთი საკითხებიც, რომელთა გადაჭრაც რაიონის ძალებს აღემატება.

მაგალითად, საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების უმრავლესობას არ უვარგა პირუტყვის სადგომები, მოძველებული და ამორტიზებული, რის გამო ყველგან ვერ ხერხდება შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონის ამაღლება და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ამ საქმეში ზემდგომი სამეურნეო ორგანოები უნდა დაგვეხმარონ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩვენს რაიონში უნდა აშენდეს სარძეო პირუტყვის კომპლექსი 800 სულისათვის, მეღორეობის კომპლექსი — 24.000 სულისათვის და მეფრინველეობის ფაბრიკა — 3 მილიონი ბროილერისათვის.

ამ ფაბრიკის მშენებლობა გათვალისწინებული იყო მიმდინარე წელს. მისი მოწყობილობა-დანადგარების ნაწილი მივიღეთ კიდეც, მშენებლობა კი ჯერ არ დაუწყიათ. და მიუხედავად იმისა, რომ რაიონში ყვერკზის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესრულება საფრთხეშია, მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დროულად დაწყება-დამთავრებაში ყოფილა-ნები „საქფრინველმრეწვი“ ნაკლებ დახმარებას გვიწევს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ახალციხის რაიონი ზოოვეტმომსახურების დაბალი დონის გამო სამართლიანად გააკრიტიკეს. ეს ძირითადად გამოწვეულია ზოოვეტსპეციალისტების ნაკლებობით. ზოოვეტსპეციალისტები აკლიათ აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთის სხვა რაიონებს. ამ დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად საჭიროა დროულად გადაწყდეს ახალციხეში ზოოვეტინსტიტუტის ფილიალის გახსნის საკითხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე.

ნათქვამია, „აკი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ასე რომ არ დაგვიმართოს და ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს, ამისათვის აქედანვე ვაზორიელებთ მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს. რაც ვვაძლევს იმის უტყუარ გარანტიას, რომ ხუთწლედის სამი წლის დანაკლისს მოკლე დროში დავფარავთ და ადაზე ადრე შევასრულებთ მეათე ხუთწლედის ყველა დავალებას.

საუბარი ჩაიწერა

შ. მაისურაძემ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ა. ა. გრომიკო ბულგარეთიდან მოსკოვს დაბრუნდა

[illegible] ა. ა. გრომიკო [illegible] ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მოწვევით ბულგარეთში ჩასულ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკო, რომელიც ბულგარეთში იმყოფებოდა გარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომასთან დაკავშირებით.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა. (საკდესი).

„პარტიული სიტყვის“ გიგლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის **ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ დასტამბა და მკითხველმა მიიღო ეურნალ „პარტიული სიტყვის“ ბიბლიოთეკის 1979 წლის პირველი ბროშურა „ნეგატიური მოვლენების დაძლევა — კომპლექსური მიდგომა“.**

ბროშურა იხსნება შესავალი სტატიით „იდეოლოგიური მუშაობა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში“. ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის **მ. ქაჯაიას**, ბოლნისის მეგვნახიობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის **ზ. წაქაძის**, თბილისქალაქმშენის მე-14 ტრესტის მე-10 სამმართველოს პოლიტინფორმატორის **თ. კილაძის**, ჟურნალისტების **დ. იათაშვილის** და **ც. შავგულიძის** წერილებში გაშუქებულია საკითხები: რაიკომი და მისი კომისიები; კრძომესა-კუთრული ტენდენციების, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიცოცხლო არტერია

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

თანამედროვე სოფლის ცხოვრების მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა 28 იანვარს „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ლ. ფრუიძის წერილი — „სოფელი: იდილია თუ სასიცოცხლო აუცილებლობა“. **წერილმა რესპუბლიკის მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რედაქციამ მრავალი გამოხმაურება მიიღო. ვბეჭდავთ პროფესორ ვ. ჭანინას წერილს, რომელშიც ავტორი გაზეთის ფურცლებზე წამოყენებულ საუბარს განაგრძობს.**

გზა სოფლის მშვენება და სასიცოცხლო არტერიაა. თუ წინათ ქალაქებში, მით უმეტეს სოფლებში თითო-ოროლა მანქანა გამოჩნდებოდა, ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, დაქირავნ სხვადასხვა მარკის ავტობუსები, მსუბუქი თუ სატვირთო მანქანები.

რაც უფრო მეტია მანქანების რიცხვი, მით უფრო მეტია მოთხოვნილება კარგ გზებზე. მაგრამ ასეთი გზები, სამწუხაროდ, ყველგან როდი გვაქვს. წინათ მოასფალტებული ბილიკი ცოტა იყო, სამანქანოდ უმთავრესად მოხრეშილი გზატკეცილი ითვლებოდა, ახლა კი ასეთ გზატკეცილს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ.

შედიხარ სოფელში, გულს ახარებს ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ორსართულიანი სახლები, გემოვნებით მოწყობილი ეზოები, ყოველ მეთხუთ-მეხუთე ეზოში მანქანა დგას. კი მაგრამ როგორია გზა? სამწუხაროდ, ხშირად არაფრად არ ვარგა, მოუვლელია. ყოველმა ოჯახმა თავისი ეზოს წინ გზის შეკეთება რომ ითავოს, ამას არც დიდი ენერგია და არც დიდი დრო დასჭირდება. რატომღაც ყველა ერთმანეთს შეჰყურებს, გზა კი შეუკეთებელი რჩება.

გზის მშენებლობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ტექნიკასა და საშენ მასალებს. სოფლად ტექნიკა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელშია, მაგრამ ხშირად მას გზის მშენებლობისათვის არ იყენებენ, განსაკუთრებით ზამთრობით, როცა მუშახელი შედარებით თავისუფალია. ზოგჯერ მთელი წელი ისე გავა, რომ არც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და არც სოფლის საბჭო, რომელთა ერთ-ერთ ღვიძლ საქმედ სწორედ გზის შეკეთება ითვლება, ამ საქმისათვის თავს არ იწუხებენ.

დიდი ზარალი მოსდით სოფლებს უგზოობის გამო. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით წვიმიან ამინდებში ბრიგადებიდან ჩაის ფოთლის საწონ პუნქტებში გადაზიდვა ხშირად პრობლემა ხდება. ასევე რთულია სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტის ტრანსპორტირება, მუშახელის გადაყვანა და სხვა. კოლმეურნეობები უგზოობის გამო ათიათასობით მანეთით ზარალდებიან, ეს მაშინ, როცა გზის შესაკეთებლად არცთუ დიდი თანხაა საჭირო.

აქა-იქ სოფლის დაცარიელების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უგზოობა უნდა ჩაითვალოს. ამას წინათ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გულის ტკივილით წავიკითხე წერილი — „რატომ აიყარა სოფელი“. ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ 1977 წლისათვის გულრიფშის რაიონის სოფელათის სასოფლო საბჭოში 8 სოფლიდან 7 დარჩა, სოფელ წებელდიდან 1970-75 წლებში გადასახლდა 380 შრომისუნარიანი ადამიანი, 1976 წელს კი ადგილსამყოფელი დატოვა 42 ოჯახმა. ამ მეტად არასასიამოვნო ფაქტის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ავტორი სრულიად სამართლიანად საავტომობილო გზის უვარგისობას ასახელებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საგზაო მშენებლობის საკითხს. ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „მინდა შევეხო ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის საგზაო მშენებლობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობა უშუალოდ არის დაკავშირებული საავტომობილო გზების — სოფლის მთავარი სატრანსპორტო, შეიძლება ითქვას, საარსებო არტერიების ქსელის განვითარებასთან. მაგრამ კარგი გზები ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს: სოფლის მეურნეობას ძალზე დიდი ზარალი მოსდის უგზოობის გამო“.

პლენუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა სერიოზული მუშაობა გასწიონ, რათა საგზაო მშენებლობის საკითხს შესაბამისი ადგილი ჰქონდეს დათმობილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, განამტკიცონ იგი საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსებით.

მითითება იმის შესახებ, რომ კარგი გზები ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს, მთლიანად ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. სათანადო ორგანოებმა სამანქანო გზების მშენებლობის საკითხს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ. საჭიროა რესპუბლიკაში შემოვიღოთ სამანქანო გზების კეთილმოწყობის ერთთვიური. იგი უმჯობესია დაწყდეს ზამთრის რომელიმე თვეში, როდესაც სოფლის მოსახლეობა ნაკლებად არის დასაქმებული სხვა სამუშაოებით.

საავტომობილო გზების მშენებლობა და მათი კეთილმოწყობა თითოეული ჩვენგანის გადაუდებელ ამოცანად უნდა გადაიქცეს.

ვ. ჭანია,

პროფესორი.

დაუვიწყარი შეხვედრები ბრატსკში

ბრატსკი, 15 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ვ. ბაბუაძე). ანგარის ენერგეტიკური გიგანტის დათვალიერებით დამთავრდა 13 მაისს ბრატსკში საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სპეციალისტთა დელეგაციის პროგრამაში შემავალი ღონისძიებანი. დელეგაცია ბრატსკში ჩავიდა ბამის ფსავლეთ უბნის ტრასიაზე და ირკუტსკში ქართული ჩაის დეკადაში მონაწილეობის მისაღებად.

— ჩვენი კოლექტივი გაახარა ცნობამ, რომ ქვეყნის ენერგოსისტემას ამერკაკავკასიის უდიდესი—ენგურის ჰიდროელექტროსადგურიც შემატა, — თქვა ბრატსკის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის ლენინის ორდენოსანი ჰიდროელექტროსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შჩეგლოვმა, — ჩვენს ქართველ კოლეგებს ვუსურვებთ დიდ წარმატებებს შრომაში, ისეთი მიჯნების მიღწევას, რომლებიც თავიდანვე ჩაიყენებენ მათ საბჭოთა ენერგეტიკის მოწინავე კოლექტივების რიგებში.

საქართველოს წარგზავნილნი ამ დღეს ეწვივნენ ბრატსკის ლენინის ორდენოსან ალუმინის ქარხანას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფერადი მეტალურგიის ფლაგმანად ითვლება. ამ საწარმოს მუშაობა, ინჟინრობა და ტექნიკოსებმა სტუმრებთან საუბარში აღნიშნეს, რომ მათი კოლექტივი ერთგულია ბრატსკის მშრომელთა ინტერნაციონალური ტრადიციებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამოცი ერისა და ეროვნების წარმომადგენლებმა ააშენეს.

ბრატსკიდან საქართველოს სს რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სპეციალისტთა დელეგაცია ქალაქ უსტ-კუტში გაეშგზავრა.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით: საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილე ამხ. ნოდარ დავითის ძე **ჩიბალაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ამ ბრძანებულებებით: საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **დავითაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იური გედევანის ძე **უნგიაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოადგილე ამხ. ნოდარ დავითის ძე **ჩიბალაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ვ. ო. კობახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ოსმანის ძე კობახია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 14 მაისი.

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეფონის ჭიშკრიდან

უმნიშვნელოვანესი საქმე

ვაშინგტონი, 14 მაისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ამერიკის ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოსადგურების ხელმძღვანელებისათვის მიცემულ ინტერვიუში ძირითადი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის წინაშე, განაცხადა მან, ახლა დგას რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო, აგრეთვე საშინაო პრობლემა, მე ვიტყოდი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების დამთავრება, ხელმოწერა და რატიფიკაცია. ეს უმნიშვნელოვანესია ყველა იმ საქმეს შორის, რომლის განხორციელებაც მიწევს, სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვარ. შესაძლოა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კენჭისყრაა, რომელშიც ოდესმე მონაწილეობას მიიღებენ ახლა სენატში მყოფი პირნი.

თათბირები ევერში

ბრიუსელი, 14 მაისი. (საკდესი). ბელგიის დედაქალაქის გარეუბან ევერში დაიწყო ეგრეთ წოდებული ატლანტიკური სესია — ნატოს ქვეყნების უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის თათბირების მორიგი სერია. ჯერ ევროჯგუფის სხდომაზე ხვდებიან ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის წევრი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები. მომდევნო ორ დღეში დასახულია გაიმართოს ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის სესია.

მინისტრების გარდა, ამ თათბირებში მონაწილეობენ გენერალური შტაბების უფროსები, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მეთაურთა შემადგენლობა, სამხედრო კომიტეტისა და ბლოკის სხვა ხელმძღვანელი ორგანოების წევრები.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, ევერში განიხილავენ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეორე ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულების საკითხს. დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე საკითხი მომდინარე წელს ბლოკის წევრი სახელმწიფოების — მიერ შეიარაღების შესყიდვის გეგმების შესახებ.

საკადრისი პასუხი

დელი. ჩინეთის ხელმძღვანელობის ცდები შეაკოწიწოს ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური ბლოკი კრახს განიცდის, განაცხადა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. რაომ აქ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას. მთელმა ინდოელმა ხალხმა, ქვეყნის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მხარი დაუჭირა გმირ ვიეტნამს და გადაჭრით დაგმო ჩინელი აგრესორები.

მაგრამ, თქვა მან, რეაქციის ძალებს ხელი არ აუღიათ თავის დანაშაულებრივ გეგმებზე, რასაც ადასტურებს, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის დენ სიაოპინის მუქარა, რომ „კიდევ ერთ გაკვეთილს მისცემენ ვიეტნამს“.

პეკინს შეუძლია დაიწყოს ახალი ავანტიურა, ამიტომ, თქვა რ. რაომ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხელი შევუშალოთ ჩინეთის ზედაფენის უგუნური ჰეგემონისტური ხელი, ნათქვამია ინდოელი ბალეტ. ინდოეთის ხელმძღვანელობის ცდები ამ ბანდიტურ ბრალდებებზე, ინდოეთის საზოგადოებრივი მეურნეობები არ ზრუნავენ მეღორეობისათვის საკუთარი წარმოების იაფი საკვების მოსამარაგებლად, მათ მეტად ძვირი უჯდებათ წარმოებული ღორის ხორცი. საკვების სიმცირის გამო ისინი ზშირად მცირე წონის ღორებს ამარებენ სახორცედ, რითაც ხელიდან უშვებენ ხორცის წარმოების გადიდების კარგ შესაძლებლობას და თვითონაც დიდ ზარალს განიცდიან.

ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებები. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაევალათ გაადიდონ სამარცვლე-საფურაჟე კულტურების ნათესი ფართობი; ამასთან ღორების საკვებად გამოიყენებთ ყველ-კარაქის, ლუდისა და საკონსერვო ქარხნების ნარჩენებს. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვებია აგრეთვე მეცხოველეთა შორის შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესება, კადრების მომზადება, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაშლა. ამ საქმეში მატერიალური და მორალური სტიმულირების ფართო გამოყენება და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრა.

ერთი სიტყვით, პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და გადაჭარბებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებები. თუმცა არის ისეთი საკითხებიც, რომელთა გადაჭრაც რაიონის ძალებს აღემატება.

მაგალითად, საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების უმრავლესობას არ უვარგა პირუტყვის სადგომები, მოძველებული და ამორტიზებული, რის გამო ყველგან ვერ ხერხდება შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონის ამაღლება და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. ამ საქმეში ზემდგომი სამეურნეო ორგანოები უნდა დაგვეხმარონ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩვენს რაიონში უნდა აშენდეს სარძეო პირუტყვის კომპლექსი 800 სულისათვის, მეღორეობის კომპლექსი — 24.000 სულისათვის და მეფრინველეობის ფაბრიკა — 3 მილიონი ბროილერისათვის.

ამ ფაბრიკის მშენებლობა გათვალისწინებული იყო მიმდინარე წელს. მისი მოწყობილობა-დანადგარების ნაწილი მივიღეთ კიდეც, მშენებლობა კი ჯერ არ დაუწყიათ. და მიუხედავად იმისა, რომ რაიონში ყვერკზის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმის შესრულება საფრთხეშია, მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დროულად დაწყება-დამთავრებაში გაერთიანება „საქფრინველმრეწვი“ ნაკლებ დახმარებას გვიწევს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ახალციხის რაიონი ზოოვეტმომსახურების დაბალი დონის გამო სამართლიანად გააკრიტიკეს. ეს ძირითადად გამოწვეულია ზოოვეტსპეციალისტების ნაკლებობით. ზოოვეტსპეციალისტები აკლიათ აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთის სხვა რაიონებს. ამ დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად საჭიროა დროულად გადაწყდეს ახალციხეში ზოოვეტინსტიტუტის ფილიალის გახსნის საკითხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე.

ნათქვამია, „აკი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ასე რომ არ დაგვიმართოს და ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს, ამისათვის აქედანვე ვაზორიელებთ მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს. რაც ვვაძლევს იმის უტყუარ გარანტიას, რომ ხუთწლედის სამი წლის დანაკლისს მოკლე დროში დავფარავთ და ადაზე ადრე შევასრულებთ მეათე ხუთწლედის ყველა დავალებას.

საუბარი ჩაიწერა

შ. მაისურაძემ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

შრომა და კაპიტალი

საფრანგეთი. ლოტარინგიაში არ ცხრება მეტალურგიული მრეწველობის მუშათა საპროტესტო გამოსვლები. დემონსტრაციების მონაწილენი მოითხოვენ სამუშაოდან მასობრივად დათხოვილი მუშების აღდგენას. ამ ოლქის მთელი მოსახლეობა იბრძვის მეწარმეთა წინააღმდეგ, რომლებიც ფიქრობენ ლოტარინგია გადააქციონ „ინდუსტრიულ უდაბნოდ“.

სურათზე: მეტალურგთა პროფკავშირის წარმომადგენლები პარიზში, სადაც ისინი ჩამოვიდნენ ლოტარინგიის მუშათა ინტერესების დასაცავად.

ახალი მთავრობის ძველი პრობლემები

3 მაისს დიდ ბრიტანეთში გამართულ პარლამენტის საყოველთაო არჩევნებში ამომრჩეველთა უმრავლესობამ, როგორც ცნობილია, ხმა მისცა ლეიბორისტების პარტიის წინაადმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა 1974 წლიდან. მათმა მთავარმა პოლიტიკურმა მეტოქეებმა — კონსერვატორებმა — ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს, თემთა პალატაში, ხოლო დაუნინგ-სტრიტ-10-ის დიასახლისი გახდა ტორების ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი — პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთის კუნძულებისა და ევროპის ისტორიაში.

მაგრამ როგორც ამასთან დაკავშირებით აღიარა ლონდონის საქმიანი წრეების გაზეთმა „ფაინენშნლ ტაიმსმა“, „დიდ ბრიტანეთში არაფერი არ შეცვლილა მთავრობის გარდა“. ოფიციალური მონაცემებით, სიძვირის ზრდის ტემპი თითქმის 10 პროცენტს აღწევს წელიწადში, ამასთან განსაკუთრებით სგრძნობია სურსათის ფასების ესკალაცია. უმუშევართა არმიაში ახლა 1.340 ათასზე მეტი კაცია.

კონსერვატიული პარტია საარჩევნო კამპანიას ეწეოდა „ბრიტანეთისათვის

მხატვრის უკვდავება

სოფელ მირზაანში გაიხსნა ფიროსმანის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი

თვითნასწავლი სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, თავისი ნიჭით, შრომითა და შემოქმედებით სახელი რომ გაუთქვეს შშობლიურ ქვეყანას. მის მიერ შექმნილი ტილოები ხალხის ცხოვრების ნამდვილი ანაბეჭდი, მისი სულიერი სამყაროს, ფიქრისა და ოცნების გამოხატულებაა. ამიტომ იყო, რომ ხალხმა ასე შეიყვარა და აღიარა მისი ხელოვნება.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედება უკვე მსოფლიო სარბიელზე გავიდა. ფიროსმანის სახლი, ეზო, ისტორიული „აკაკის ხე" წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში ძვირფას .რელიკვიად არის შემონახული. აქ თითქმის ყოველდღე მიდიან მხატვრის თაყვანისმცემლები სოფლებიდან, რაიონებიდან, ქალაქებიდან...

ასეთი ხალხმრავლობა კი, როგორც ამ დღეებში იყო, ნიკალას სოფელს, მის ეზო-მიდამოს არ ახსოვს.

დილიდანვე სოფლის გზები და ბილიკები ხალხით გაივსო.

პატარძალიანი თუთრ კაბაში გამოწყობილ სახლ-მუზეუმთან, უფრო სწორად საექსპოზიციო დარბაზთან, რომლის ჩანაფიქრი და ხორცშესხმა თბილისის სამხატვრო აკადემიის ინტერიერის კათედრის არქიტექტორ გურამ ბაქრაძეს ეკუთვნის, ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. საექსპოზიციო დარბაზის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ სტუმრები, ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლები თბილისიდან, მოსკოვიდან, გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკებიდან, საფრანგეთიდან....

ლენტი გაჭრა და საექსპოზიციო დარბაზის კარი პირველმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლადო გუდიაშვილმა შეაღო. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ნ. ფიროსმანის მთელი შემოქმედება, მათ შორის სამოცამდე ორგინალი, რომლებიც ახალ საექსპოზიციო დარბაზში საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმმა გამოჰფინა.

სახელდახელო მიტინგზე გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს წითელწყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა, კოლმეურნე გ. ფიროსმანაშვილმა, მასწავლებელმა ც. მჭედლიშვილმა, საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. თარაშვილმა, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ა. მაძღარაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა თ. სანიკიძემ.

დიდი მხატვრის სახელსა და შემოქმედებას გულთბილი სიტყვები მიუძღვნა გერმანელმა მხატვარმა ჰერბერტ ლანგემ (გდრ).

— ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი და საგამოფენო დარბაზი, რომელიც დღეს გაიხსნა, — თქვა მან, — მარტო თქვენი ერის კი არა, მთელი მსოფლიოს ხალხთა საგანძურია.

დასასრულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიისა და ადგილობრივი თვითმოქმედი მსახიობების მონაწილეობით ფიმართა კონცერტი.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" სპკ. კორ.

კონკურსი

სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ს. ჯანაშიას სახელობის პრემია — 2000 მანეთის ოდენობით დაწესებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით და მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში მომუშავე მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.

პრემია მიენიჭება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების დღეს — 18 ნოემბერს.

პრემიის მოსაპოვებლად, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეკუთვნება ხელმძღვანელებს და ძირითადად ავტორებს. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში გეგმით თუ გეგმის გარეშე, ან ცალკეულ პირთა მიერ; საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნეს ავტორეთი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შესრულებული ნაშრომი საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული ნაშრომები.

ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭათ ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, ავრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოადგინონ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, უმაღლესმა სასწავლებელმა, სამეცნიერო საზოგადოებამ, უწყებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ან ცალკეულმა პირებმა.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი დაასახელეს, უნდა წარმოადგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შემდეგი მასალა:

დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი).

ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი 4, ძერჟინსკის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს 1979-80 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებას მოწყვეტით დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:



1. ზოოხაინჟინერო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი)—ზოოინჟინერის სპეციალობით.

2. ხალტერინარო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი; აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით და შეტანილი არიან უმაღლეს სასწავლებელში შესვლელ კანდიდატთა სიაში, ავრეთვე იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა ფრიადი და კარგი ნიშნებით და პედაგოგიური კოლექტივების მიერ რეკომენდებულია უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ან განათლება მიიღო წარმოებას მოუწყვეტლივ.

პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, მიიღებიან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ პირთათვის, რომლებმაც საშუალო სასწავლებელი წინა წლებში დაამთავრეს, სავალდებულოა სკოლის დამთავრებიდან ყოველ განვლილ წელზე, როცა არ სწავლობდნენ, 6 თვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

ინსტიტუტში შემომსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელნი, რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელნი.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგაწში ფრიადი (ტუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი" ან „სამი" შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ-განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩარიცხებიან მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი უმაღლესში არჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მიმართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არსებული სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ. 2) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აღლენენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოო დაწესებულების ხელმძღვანელები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას. 3) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული კაცდღეების რაოდენობა წლების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან მოვლინებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მივლინების შესახებ. 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5) ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 12 საათიდან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან — 20 აგვისტომდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კრწანისი, ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

სოფლები დააკავშირა

მდინარე აკავრეთა წყალდიდობის ან ლანქერების დროს როგორც კი ადიდდებოდა, ნაფოტივით ხვეტავდა ხის ხიდებს. ასეთივე მდგომარეობა იქმნებოდა წინიარისშიც. წყალდიდობისას სოფლები ერთმანეთთან მოწყვეტილი იყო. ახლახან აშენებული კაპიტალური ხიდით ოთხი სოფელი გუნდაურ-მერისი და წინიარის-სასადილოყელი ერთმანეთს დაუკავშირდა.

საესტრადო ბრიგადა

კულტურული მომსახურებით მთის სოფლები განებივრებული როდი არიან. სწორედ ამიტომ ქედის კულტურის სახლთან შეიქმნა საესტრადო ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბ. ღოლობერიძე. საესტრადო ბრიგადის რეპერტუარი მრავალფეროვანია. მას განზრახული აქვს მშრომელებს მოემსახუროს როგორც კლუბებში, ასევე მინდვრად და იალაღებზე.

მთის წყაროდ

რაიონულ ცენტრსა და მახლობელ სოფლებს არ ყოფნით სასმელი წყალი. და, აი, გადაწყდა აქუცადან რაიონულ ცენტრში ჩამოიყვანონ მთის ანკარა წყაროს. საჭირო მასალები მომარაგებულია, ტრასის სიგრძე 2,5 კილომეტრია. მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს რაიონული ცენტრის ყველა საწარმო-დაწესებულება. მშენებლობა წლიულს უნდა დამთავრდეს.

შენდება

წლეულს ახალმოსახლეობას იზეიმებენ რაიონული ცენტრის მოსწავლეები. ახალი სკოლის შენობა 860 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული. სწრაფი ტემპით შენდება 25-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. იგი საექსპლოატაციოდ წლის ბოლოს გადაეცემა.



სურათებზე: ასე გამოიყურება დღეს დაბა ქედა; ქედის გაშომთვლელ ცენტრში. მუშაობენ ოპერატორები ნანი ბერიძე, ნარიხა არძენაძე და ცენტრის უფროსი ზურაბ ქადიძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დღეს ქედაში

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე გვატყობინებს

თეატრი

სპექტაკლი ოჯახზე

მ. ბარათაშვილის პიესა „ფრთხილად, სასიკვდილოა!" თელავის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

ამ ცოტა ხნის წინათ თელავის ს. ოჯორნიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ჩვენი ცნობილი დრამატურგის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მარიკა ბარათაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „ფრთხილად, სასიკვდილოა!" (რეჟისორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — დ. ბალარჯიშვილი). სპექტაკლი ბავშვის საერთაშორისო წელს ეძღვნება.

მ. ბარათაშვილის არჩევანი — შეექმნა ნაწარმოები შვილების მიმართ მშობლთა მოვალეობავალდებულებაზე, შემთხვევითი არ ყოფილა. დრამატურგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ეურნალ „საქართველოს ქალს", სადაც უამრავი მასალა გროვდება მეუღლეთა ურთიერთობაზე, დედისა და შვილის დამოკიდებულებაზე, ქალის, როგორც მეუღლის ბედზე. სწორედ ამ მასალათა განზოგადებით დრამატურგმა შექმნა პიესა-გაფრთხილება, სადაც მთელი სიმკაცრით არის დასმული საკითხი, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია იცავდეს ოჯახისა და საბჭოთა საზოგადოების მორალურ კოდექსებს.

სპექტაკლის დამდგმელმა კოლექტივმა პიესა აღიქვა როგორც ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი მახკიერი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი იარაღი. რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე ამ სპექტაკლით გვეელინება ხელოვნად, რომელიც იბრძვის, ეძებს, პოულობს და ამკვიდრებს ახალს, ნოვატორულს. სპექტაკლი დადგმულია გამოკვეთილი რეჟისორული ხელწერით. მხატვრისა და რეჟისორის ჩანაფიქრი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

თექვსმეტი წელი იცხოვრა მერიმ მეუღლესთან (მსახიობი — ე. ბაბილაშვილი). ორი შვილი აღზარდა და დაიფრთიანა. უფროსი ჩიორა უკვე თხუთმეტი წლისაა, ხოლო უმცროსი ზაზა — თორმეტისა. როგორც მერი ამბობს, მან დიმიტრის დაკინებული ცდითა და მახლობლების შეგონებით უსიყვარულოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიმიტრის (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. კუპატაძე). თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქალი ზრუნავდა ოჯახზე, შვილებზე, მაგრამ აი, მერი შეხვდა თამაზს (მსახიობი — ვ. იანტბელიძე) და მთელი ძალით იფეთქა თვრამეტი წლის წინ ჩასახულმა გაუმეღავნებელმა სიყვარულმა... იწყება კონფლიქტი.

ავტორი გვიხატავს რა ამ ორ ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიას, მართალია, დანაშაულის სიმძიმის ცენტრი გადააქვს დიმიტრის მხრებზე, მაგრამ პიესა მერისა და თამაზსაც აფრთხილებს. და არა მარტო მერის და თამაზს, რადგან თუ ასეთი დიდი სიყვარულიც კი დამარცხდა ბავშვების ბედთან დაპირისპირებაში, მით უფრო გაუმართლებელია, როდესაც (და არაიშვიათად) ოჯახის ნგრევა წვრილმანი ამბებით იწყება.

ფინალი რეჟისორის სწორი აზრობრივი გამოხატულებაა, რაც სპექტაკლს ოპტიმისტურ ელფერადობას ანიჭებს.

მსახიობ ე. ბაბილაშვილის მერი ინტიმური განცდის ისეთი სიჭრბით ხასიათდება, რომელსაც თავდავიწყებამდე მიჰყავს იგი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსი კუპატაძის დიმიტრი ისეთი მამაა, რომელსაც თავის მოვალეობად მხოლოდ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა მიაჩნია. იგი გრძნობს მერის ცხოვრებაში მომხდარ ტრაგედიას, მაგრამ მის სულში ეს ამბავი სრულებით არ იწვევს ღრმა ტკივილებს, იოლად ეგუება მეუღლის ოჯახიდან წასვლას და ახალ ოჯახს ქმნის, რომელიც, შესაძლოა, კვლავ ახალი ტრაგედიის მიზეზად იქცეს.

დიმიტრის დედა ანეტა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. შუბითიძე) ის ანთებული ალია, რომელიც სინათლესა და ფერადოვნებას ანიჭებს სპექტაკლს. ავტორს ანეტა ქართველი დედის სიმბოლოდ უქცევია, დედისა, რომელიც თავისი პატიოსანი, მართალი, ალალი თვალებით დადის ქართულ მიწაზე და თავის ბედნიერებას შვილებისა და ოჯახის ზრუნვაში ხედავს.

ავტორი მთელი სიყვარულით ძერწავს ანეტას სახეს. ნათელია, რომ ჩვენი საზოგადოება მხოლოდ მერი, თამაზი და დიმიტრი არ არის. არიან ადამიანები, რომლებიც ბავშვებისა და საერთოდ შვილების აღზრდის საპატიო საქმეს სწირავენ თავიანთ პირადულს, ინტიმურს.

მერისა და თამაზის ურთიერთობაში აქტიურად მონაწილეობს საავადმყოფოს ექთანი მათიკო, რომელსაც მსახიობი ნ. არავიაშვილი განასახიერებს. მსახიობს შესწევს დაკისრებული როლის ოსტატურად დამუშავების უნარი, რითაც გვაფიქრებინებს, რომ მისი სახით თელავის სახელმწიფო თეატრს მზარდი, იმედის მომცემი მსახიობი ჰყავს.

რთული, მრავალპლანიანია ჩიორას როლი, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი ც. გიგაური ასრულებს. რამდენადაც ლალი, ამაყი და თამამია ანა დარკის გმირობით აღფრთოვანებული გოგონა სპექტაკლის დასაწყისში, იმდენად ტრაგედიამდე მიდის მისი თამაში სპექტაკლის ფინალში. მსახიობი კარგად ახერხებს შექმნილი სიტუაციის გაანალიზებას და თამაზის შვილთან გოგისთან (მსახიობი — მ. ზაუტაშვილი) იმდენად მოახმობელელია, რომ აშკარად იგრძნობა მხარდაჭერა მაყურებლისა იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც ჰყავთ შშობლები, მაგრამ მაინც ობლად გრძნობენ თავს.

უშუალო და ბუნებრივია ჩიორას და ზაზას მეგობარი დათო (მსახიობი ზ. ანთელავა), რომელიც არანაკლებ ტრაგიკრებულია ოჯახში მამინაცვლის ყოფნით. საინტერესო დებიუტია ნ. ხუციშვილს ზაზა, ხოლო რ. თინიკაშვილს მანანა და გ. მანველოვის გიორგი ისეთ დუეტს ქმნიან, რომელიც სიმსუბუქესა და სეგდანარევ იუმორს ანიჭებს სპექტაკლს.

მ. ბარათაშვილის პიესა „ფრთხილად, სასიკვდილოა!" ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე თეატრში დაიდგა. მასში დასმული პრობლემები ყველგან კამათის, საზოგადოებრივი განსჯის ობიექტი გახდა.

გ. ბერიაშვილი.

საზღვარგარეთ კითხულობენ

გრ. აბაშიძის ნაწარმოებები უცხოურ ენებზე

ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ორგანომ „ლე ნუველ დე ლეტრ სოვიეტიკმა" (№ 4) სპეციალური ნომერი მიუძღვნა საბჭოთა პოეტებს ი. ერენბურგს, ს. მიხალკოვს, ს. კირსანოვს და გრ. აბაშიძეს. ჟურნალში რუს პოეტებთან ერთად დაიბეჭდა გრ. აბაშიძის ლექსები „შვიდი მეციხოვნე", „მწვერვალებისაკენ" და „ყვავილი სანაპიროსი". ლექსები თარგმნა პოეტმა და კრიტიკოსმა ანდრე გლოდმა. თარგმანებს წამძღვარებული აქვს მისივე წერილი. მეორე ბელგიურმა ჟურნალმა „ლა დრიიდმა" შარშან გამოაქვეყნა ამავე ჟურნალის რედაქტორის ჟორჟ ბუიონის ვრცელი სტატია გრ. აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ჟ. ბუიონმა აგრეთვე შარშან გამოაქვეყნა წიგნი „საქართველო ოქროს საწმისის ქვეყანა", რომელიც მიუძღვნა საქართველოს. ამ წიგნში ჟ. ბუიონი განიხილავს გრ. აბაშიძის შემოქმედებას. „ქართველი პოეტი გრიგოლ აბაშიძე, — წერს ბელგიელი მწერალი, მუშაობს პროზაშიც, მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები, რომანები, პიესები. შესანიშნავად არის დაწერილი მწერლის ისტორიული რომანი-ტრილოგია „ლაშარელა", „დიდი ღამე" და „ცოტნე", ამ რომანებში უურადღებას იქცევს სამყაროს პოეტური ჭვრეტა".

გამომცემლობა „განათლებამ" ცალკე წიგნად გამოსცა გრ. აბაშიძის ლექსების წიგნი, რომელიც ფრანგულ ენაზე თარგმნა ცნობილმა მთარგმნელმა და მწერალმა სერგი წულაძემ. წიგნში შეიდა პოეტის 24 ლექსი. წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის შესავალი წერილი, რომელშიც უცხოელ მკითხველს მოკლედ აცნობს გრ. აბაშიძის შემოქმედებას.

გარდა ამისა, ფრანგულმა ეურნალებმა „რევიუ დე ქართველოლოგიმ" და „ევრ ე ოპინიონმა" გამოაქვეყნეს პოეტის სხვა ლექსები, რომელთაც უცხოეთში მაღალი შეფასება მისცეს.

„რევიუ დე ქართველოლოგის" 1978 წლის ნომერში გამოქვეყნდა აგრეთვე პროფ. ბ. უტიეს წერილი გრ. აბაშიძეზე.

გრ. აბაშიძის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესდა გერმანელი მეცნიერი ჰაინც ფენრიხი, რომელმაც კარგად იცის ქართული ენა და ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა. მან სპეციალური სტატია მიუძღვნა ქართველ მწერალს; სტატია გამოქვეყნდა „პრეს დერ ზოვიეტუნიონში". გარდა ამისა, ჰაინც ფენრიხმა თარგმნა გრ. აბაშიძის რომანები: „ლაშარელა" და „დიდი ღამე".

ამ დღეებში თბილისში მივიღეთ „დიდი ღამის" ჰაინც ფენრიხისეული გერმანული თარგმანი, რომელიც გამოსცა ბერლინის გამომცემლობა „რიუტენ უნდა ლოენინგმა", თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის სტატია და შენიშვნები, უცხოელი მკითხველებისათვის უცნობი სიტყვების ახსნა-განმარტებანი.

სანამ ქართველი მწერლის რომანი გამოვიდოდა, გამომცემლობების — „აუფბაუსა" და „რიუტენ უნდა ლოენინგის" ბეჭდვითმა ორგანომ „დერ ბინენშტოკმა" (№ 119), გამოაქვეყნა რომანის ორი თავი ვრცელი ანოტაციით, რომელშიც ეკითხულობთ: „რომაში მოქმედება ვითარდება: XIII საუკუნის პირველ ნახევარში, რომელიც საქართველოს ისტორიაში ავბედობის ხანად არის მიჩნეული. „დიდი ღამე" ქრონოლოგიურად გრიგოლ აბაშიძის პირველი რომანის „ლაშარელას" გაგრძელებაა, რომელიც 1975 წელს გამოსცა ბერლინის გამომცემლობა „რიუტენ უნდა ლოენინგმა"...

ზემოთ დამოწმებული მასალები ნათლად ადასტურებს, რომ უცხოელი მკითხველები დიდ ინტერესს იჩენენ ქართული საბჭოთა ლიტერატურისადმი.

ს. თურნავა.

ფეხბურთის ამბები

პოზიციები შეინარჩუნეს

თბილისის იპოდრომზე გრძელდება უძლიერეს მშვილდოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები". გუშინ უიცრად წამოსულმა წვიმამ ასპარეზობის ბევრ მონაწილეს ხელი მოუცარა. უამინდობამ ყველაზე ნაკლებ ლიდერები დააზარალა. ტურნირში დაწინაურებულებმა ქ. ლოსაბერიძემაც და ვ. ეშეევმაც კარგად გაართვეს თავი სიძნელეებს და პოზიციები შეინარჩუნეს. ლოსაბერიძემ 70 და 60 მეტრ დისტანციებზე შესაბამისად 291 და 273 ქულა დააგროვა. ბოლო ორ დისტანციაზე (50 და 30 მ) შეჯიბრების დაწყების წინ იგი ავლენ ლიდერობს (1823 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ვ. კოვანი (1817) და ზ. რუსტამოვა (1816). ვიეტნამში პირველ სამ ადგილზე არიან ვ. ეშეევი (1828), ვ. ჩენდაროვი (1779) და კ. ლაასონენი (ფინეთი, 1770 ქულა).

ასპარეზობა დღეს დამთავრდება.

ორი ლიდერი

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა დიდოსტატთა და ოსტატთა ტურნირის მეცხრე ტურის პარტიები. გურგენაძემ მოუგო გუფელდს, რომანიშინმა — აზმაიფარაშვილს, ლუტიკოვმა — პოდგაეცს, ლერნერმა— მიხალჩიშინს. სამი პარტია გადაიდო. 9 ტურის შემდეგ რომანიშინსა და უბილავს 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ზაიჩიკს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

სატურნირო ორბიტაზე

ველორგოლა. მშვიდობის ველორბოლის ხუთი ეტაპის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები. ისევე როგორც მეოთხეზე, მეხუთე ეტაპზეც (პოზროსნაა-პოლხორა — კოშიცე, 169 კმ) პირად ჩათვლაში თავი ისახელა კუბიშეველმა სერგი სუხორუჩენკომ. მან დისტანცია 4 საათში, 23 წუთსა და 6 წამში გაიარა. ფინეთთან მეორე იყო მისი თანაგუნდელი, ტარტუელი ავო პიკუსი (4:23.26). ეტაპზე მესამე ადგილი წილად ხვდა ანდრეას პეტერმანს (გდრ, 4:23.31). სუხორუჩენკოვი ხუთი ეტაპის ჯამითაც ლიდერობს რბოლას.

ფრენბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები ამხანაგურ მატჩებს მართავს იაპონიაში. პირველი შეხვედრა საბჭოთა ფრენბურთელებმა მოაწყეს ნაგოიაში და დაამარცხეს იაპონელთა ნაკრები ანგარიშით 3:0 (17:15, 15:6, 15:9).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ჟურნალისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტрაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საბაჭოთა ჟორკუსში, ხოშარაულის, 29.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

17 მაისს, 3 საათზე საქტო დარბაზში (ციოლის ქუჩა № 55) აბიტურიენტთათვის აწყობს

ღია ჟარის დღეს

შეხვედრის დროს მოსმენილი იქნება მიმღები კომისიის წევრთა ინფორმაცია ინსტიტუტში მისაღები გამოცდების შესახებ.

სპეციალობების მიხედვით დეკანები და კათედრათა გამგეები შეხვედრის მონაწილეებს დაათვალიერებინებენ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებს.

რედაქტორატი.

ტელევიზია

16 მაისი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვარემა" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.10 — მეშვიდეკლასელთათვის — ფიზი